№368 2013 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებულ წესში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 1533) შეტანილ იქნეს ცვლილება და 27^4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. 2014 წლის 1 სექტემბრამდე ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისას.“.

მუხლი 2. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №302 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედება 2014 წლის 1 სექტემბრამდე არ ვრცელდება ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევაზე.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2013 წლის 29 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**